ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5171597

ნომერი: AR1784850

თარიღი : 02.11.2020

გაცემის თარიღი : 03.11.2020

გაცნობის თარიღი : 03.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თევდორე მღვდლის ქუჩა N55;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენე ხიდეშელი პ/ნ 01029007258
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 36ა, ბინა 34

ორგანიზაცია:

- შპს "ლუქსი-2004" კოდი: 202230102

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ვერ დგინდება არსებული საჩრდილობლის (რომლის გამოყენებასაც გეგმავთ) კანონიერების საკითხი, არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად.

გარდა ამისა:

1. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა "მოთხოვნის შინაარსი"-ს ველში დააკონკრეტოთ საპროექტო ობიექტის ფუნქცია და ასევე მიუთითოთ დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა იქნება თუ კაპიტალური.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება ფასადზე არსებული გაზის მილის და მრიცხველის გაუქმება, რაც დაუშვებელია. გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოადგინეთ შესაბამისი სამსახურის თანხმობა.

გარდა ამისა, ფოტომონტაჟზე დაიტანეთ ყველა მოსაპირკეთებელი მასალა

3. წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით ხდება არსებულ 4/1 შენობაზე მიშენება, რაც I კლასის კუთხით ვერ განიხილება. იმისათვის, რომ ცალკე I კლასად იქნას განხილული, საჭიროა მაქსიმალურად დააშოროთ არსებულ 4/1 შენობას საპროექტო შენობა-ნაგებობა (ცალკე დამოუკიდებელი კედელი უნდა ქონდეს და რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა იყოს დაშორებული). აღნიშნულის შესაბამისად შეასწორეთ ნახაზები და ფოტომონტაჟი

4. ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.